თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6978158

ნომერი: AR11027876

თარიღი : 08.04.2024

გაცემის თარიღი : 12.04.2024

გაცნობის თარიღი : 15.04.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N78;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მეგრელიშვილი პ/ნ 01030006742
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 26

ორგანიზაცია:

- შპს "მაგი-ჯგუფი" კოდი: 404451856

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- მოთხოვნის შინაარსი: მიეთითოს სარეკონსტრუქციო ნაგებობის მილის დიამეტრი;
- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ხაზობრივი ნაგებობის ტრასის შესაბამისი ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული თითოეული ნაგებობისათვის შესაბამისი ტრაექტორია;
- წარმოსადგენია არსებული ქსელის საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი (რომლის რეკონსტრუქციაც მოთხოვნილია განცხადებით), ისევე როგორც არსებული ნაგებობის მესაკუთრის, რომელზედაც მოთხოვნილია დაერთება;
- ფოტომონტაჟი: ველში წარმოსადგენია ერთიანი სრულყოფილი, მოთხოვნის შესაბამისად მხოლოდ სანიაღვრე სისტემის ტრასის სქემატური ნახაზი, ჭრილები (ქანობის, მილის დიამეტრის მითითებით), გეგმაზე დაფიქსირდეს მიმდებარედ არსებული ყველა ხაზობრივი ნაგებობა (შესაბამისი საკადასტრო მონაცემებით) და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი თანხმობების/შეთანხმებული სქემა, დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს შტამპს;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრ(ეებ)ის მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა - საზოგადოებრივი სივრცის შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (სსიპ - ქონების მართვის სააგენტო) თანხმობა;
- დამატებით ასევე წარმოსადგენია 2024 წელს მომზადებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204864548) აქტიური ამონაწერი და განმცხადებლის გიორგი მეგრელიშვილის (პირადი N01030006742) უფლებამოსილების დასტურად წარმოდგენილ მინდობილობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დასახელებული ხელმომწერი პირის ლაშა საღინაძის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204864548) სახელით გასცეს მინდობილობა;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.